Research

საქართველო
შრომის ბაზრის მიმოხილვა

ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები
გამოცემა #144

გამოწვევები

მიუხედავად ყველაზე დაბალი მაჩვენებლისა, საქართველოში უმუშევრობის დონე კვლავ მაღალია – 2022 წელს უმუშევრობის დონემ 17.3% შეადგინა.[1]

შრომის ბაზრის ეფექტიანობა შემცირდა – ბევერიჯის მრუდის მიხედვით, შრომის ბაზრის ეფექტიანობა შემცირდა პოსტპანდემიურ პერიოდში, პანდემიამდელ პერიოდთან შედარებით.

მიუხედავად მაღალი უმუშევრობის დონისა, სპეციალისტების და სამუშაო ძალის ნაკლებობა ბიზნესსაქმიანობისთვის ძირითადი ხელის შემშლელი ფაქტორებია – BAG ინდექსის მიხედვით, 2023 წლის I კვარტალში, სპეციალისტების ნაკლებობა ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელ ფაქტორად გამოკითხულ კომპანიათა 48%-მა დაასახელა, ხოლო სამუშაო ძალის ნაკლებობა - 47%-მა.[2]

სამუშაო ძალის მიგრაცია გრძელდება - საქართველოში 15+ მოსახლეობის საერთო რაოდენობა მცირდება, ხოლო 2022 წელს საქართველოდან ევროკავშირში თავშესაფრის მაძიებელთა აპლიკანტების რაოდენობა რეკორდულად მაღალი იყო.[3]

საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა უნარებსა და ბიზნეს სექტორის საჭიროებებს შორის შეუსაბამობაა – BAG ინდექსის მიხედვით, 2022 წლის IV კვარტალში, გამოკითხულ კომპანიათა თითქმის ნახევარს ჰქონდა კადრების მოძიებასთან დაკავშირებული სირთულეები აპლიკანტების არასაკმარისი ცოდნის დონისა და უნარების გამო.[4]

გაიზარდა სამუშაოს მაძიებელთა სარეზერვო ხელფასი - ხელფასის ის მინიმალური ოდენობა, რაზეც სამუშაოს მაძიებელი თანახმა იქნება სამსახურის დაწყებაზე, გაზრდილია პოსტ-პანდემიურ პერიოდში, პანდემიამდელ პერიოდთან შედარებით,[4] რაც ზრდის ხელფასები-ფასების სპირალის წარმოქმნის რისკს.[5]

ათასი კაცი	IV კვ. 2021	I კვ. 2022	II კვ. 2022	III კვ. 2022	IV კვ. 2022
სამუშაო ძალა	1536.1	1490.7	1551.5	1609.4	1554.7
დასაქმებული	1244.2	1201.1	1269.9	1358.6	1305.2
მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ	1465.1	1496.3	1458.9	1396.8	1397.4
უმუშევარი	291.9	289.6	281.6	250.7	249.5
სულ 15+ მოსახლეობა	3001.2	2987.0	3010.4	3006.2	2952.1

1. 2020 წელს საქსტატის სამუშაო ძალის გამოკვლევის მეთოდოლოგიის ცვლილების გამო 1998 2009 წლის მონაცემები არაა შესადარი 2010-2022 წლის მონაცემებთან. შესაბამისად, ეს განცხადება არ მოიცავს ძველი მეთოდოლოგიის მიხედვით მოკვლეულ 1998-2009 წლებს.
2. BAG ინდექსი (1 კვ. 2023)
3. ევროსტატი
4. BAG ინდექსი (1 კვ. 2023)
5. მონეტარული პოლიტიკის ანგარიში (თებ 2023)

შრომის ბაზრის მაჩვენებლები



წყარო: საქსტატი

2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, სამუშაო ძალა გაიზარდა 17,960 ადამიანით, ხოლო უმუშევრობის დონე 2022 წელს რეკორდულად დაბალ - 17.3%-მდე შემცირდა.

2022 წელს საქართველოში 15+ მოსახლეობის საერთო რაოდენობის საშუალო წლიური მაჩვენებელი პირველად ჩამოცდა 3 მილიონს და 2,989 ათასამდე შემცირდა.

2022 წლის მეოთხე კვარტალში, BAG ინდექსის მიხედვით, სპეციალისტების ნაკლებობა ბიზნესსაქმიანობისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ხელის შემშლელი ფაქტორია. ასევე, გამოკითხული კომპანიების 24.5%-მა აღნიშნა, რომ თავიანთ კომპანიაში დაასაქმა რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ საქართველოში დროებით მცხოვრები უცხოელები.



ბევერიჯის მრუდი პიემსი კვლევითმა ცენტრმა საქართველოს ეროვნული ბანკის დახმარებით ააგო.

წყარო: Jobs.ge, Hr.gov.ge, საქსტატი

6. ბევერიჯის მრუდი ასახავს ვაკანსიების გამოცხადებისა (Y ღერძზე) და უმუშევრობის დონეებს (X ღერძზე) შორის კავშირს. მასზე დაკვირვებით შრომის ბაზრისა და ეკონომიკის მდგომარეობის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი. კერძოდ: ა. მრუდის გადაადგილება მარცხნივ (კოორდინატთა სათავისკენ) შრომის ბაზრის ეფექტიანობის ზრდას ასახავს; ბ. მრუდის გადაადგილება მარჯვნივ (კოორდინატთა სათავიდან გარეთ) შრომის ბაზრის ეფექტიანობის შემცირებას ასახავს; გ. მრუდის გასწვრივ მარცხნივ მოძრაობა აჩვენებს, რომ ეკონომიკა ექსპანსიაში გადადის, ხოლო მრუდის გასწვრივ მარჯვნივ მოძრაობა აჩვენებს, რომ ეკონომიკა რეცესიაში გადადის. ვაკანსიების გამოცდახების დონე და უმუშევრობის დონე შეწონილია სეზონურად.

7. ვაკანსიების გამოცხადების დონე გამოითვლება, როგორც ვაკანსიების რაოდენობის შეფარდება დასაქმებულთა რაოდენობისა და ვაკანსიების რაოდენობის ჯამთან, გამრავლებული 100-ზე.

- პრე-პანდემიურ პერიოდში (I კვ. 2018 - IV კვ. 2019), ბევერიჯის მრუდის მიხედვით, საქართველოს ეკონომიკა იმყოფებოდა ექსპანსიის ფაზაში. ამ პერიოდში უმუშევრობის დონე მცირდებოდა და ვაკანსიების გამოცხადების დონე იზრდებოდა. შესაბამისად, შრომის ბაზრის სიმჭიდროვის დონე გაიზარდა.

- პანდემიურ პერიოდში, (I კვ. 2020 - IV კვ. 2020), ბევერიჯის მრუდის მიხედვით, საქართველოს ეკონომიკა გადავიდა რეცესიის ფაზაში. ამ პერიოდში უმუშევრობის დონე გაიზარდა, ხოლო ვაკანსიების გამოცხადების დონე შემცირდა.

- I კვ. 2021-ში, COVID-19-ის შეზღუდვების ეტაპობრივად მოხსნის პარალელურად, ბევერიჯის მრუდი გადაადგილდა მარჯვნივ, კოორდინატთა სათავიდან გარეთ. ამ პერიოდში გაუმჯობესდა დამსაქმებლების მოლოდინი, რაც აისახა ვაკანსიების გამოცხადების დონის ზრდაზე, თუმცა უმუშევრობის დონე თითქმის უცვლელი დარჩა. ეს გადაადგილება მიანიშნებს შრომის ბაზრის ეფექტიანობის შემცირებაზე. აღსანიშნავია, II კვ. 2022-ში, ბევერუჯის მრუდი კიდევ ერთხელ გადაადგილდა კოორდინატთა სათავიდან ზემოთ, რაც მიანიშნებს შრომის ბაზრის ეფექტიანობის კიდევ უფრო შემცირებაზე.

- ბევერიჯის მრუდის მიხედვით, III კვ. 2021 - II კვ. 2022 პერიოდში, ეკონომიკა კვლავ გადავიდა ექსპანსიის ფაზაში. ამ პერიოდში შრომის ბაზრის სიმჭიდროვის დონე გაიზარდა - ვაკანსიების გამოცხადების დონის ზრდასთან ერთად, შემცირდა უმუშევრობის დონე.

- წინასწარი შეფასებით, III კვ. 2022-ში ბევერიჯის მრუდი შესაძლოა კიდევ ერთხელ გადაადგილდა - ამჯერად კოორდინატთა სათავისკენ, ვინაიდან უმუშევრობის დონე მკვეთრად შემცირდა, ხოლო ვაკანსიების გამოცხადების დონე მცირედით გაიზარდა, რაც შესაძლოა მიუთითებდეს, რომ შრომის ბაზრის ეფექტიანობის დონე ნელ-ნელა უბრუნდება პანდემიამდელ პერიოდს. აღნიშნულზე საბოლოო დასკვნის საშუალებას მომავალი პერიოდების დაკვირვებები მოგვცემს.

- ბევერიჯის მრუდის მიხედვით, IV კვ. 2022-ში, III კვ. 2022-თან შედარებით, შრომის ბაზრის ეფექტიანობა გაიზარდა - შემცირდა უმუშევრობისა და ვაკანსიების გამოცხადების დონე, რაც მიანიშნებს პანდემიამდელი ეფექტიანობის დონისკენ მოძრაობაზე.

- საბოლოო ჯამში, პოსტ-პანდემიურ პერიოდში შრომის ბაზრის ეფექტიანობა ჩამორჩება პანდემიამდელს, რაც შესაძლოა განპირობებული იყოს სხვადასხვა ფაქტორებით, როგორებიცაა: კადრების გადინება მომიჯნავე სექტორებში ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებების გამო, სამუშაო ძალის მიგრაცია, სამუშაოს მაძიებლების სარეზერვო ხელფასის ზრდა.

დასაქმებულთა რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით



წყარო: საქსტატი

2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, დასაქმება მშენებლობის სექტორის გარდა ყველა სექტორში გაიზარდა.[8]

ინფორმაციისა და კომუნიკაციების სექტორში დასაქმებულთა ასეთი ზრდა შესაძლოა, აიხსნას სექტორის ბუმით[9] და უცხოელი მოქალაქეების გაზრდილი კონცენტრაციით. ასევე, დასაქმებულთა ზრდა განთავსებისა და საკვების მიწოდების სექტორში შეიძლება, აიხსნას საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობის ნაწილობრივი აღდგენითა და მიგრანტების შემოდინებით.

8. დასაქმებულთა რაოდენობა გამოთვლილია კვარტლურად დასაქმებულთა საშუალო რაოდენობის მიხედვით.
9. PMC RC - ICT სექტორი საქართველოში

BAG დასაქმების ბარომეტრი[10]











- 2023 წლის I კვარტალში გამოკითხულ კომპანიებს მომავალ სამ თვეში დასაქმების მიმართულებით უმეტესად დადებითი მოლოდინი აქვთ.
- 2023 წლის I კვარტალში, BAG დასაქმების ბარომეტრმა 34.0 ქულა შეადგინა, რაც 2022 წლის IV კვარტალთან შედარებით, 4.9 ქულით გაუმჯობესებული მაჩვენებელია.
- 2023 წლის I კვარტალში ბარომეტრის მაჩვენებელი დადებითია ყველა სექტორისთვის. 2023 წლის I კვარტალში დასაქმების ბარომეტრის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მშენებლობის სექტორში ფიქსირდებოდა (69 ქულა), ყველაზე დაბალი კი მრეწველობის სექტორში - 25.

წყარო: PMC კვლევითი ცენტრი, BAG

10. კომპანიებს შეუძლიათ, დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ არსებული მომდევნო სამი თვის გეგმები აღწერონ, როგორც „მზარდი“, „სტაბილური“ ან „კლებადი“. ამ გეგმების საბალანსო მნიშვნელობა გამოითვლება პასუხების „მზარდი”-სა და „კლებადი”-ს პროცენტულ წილებს შორის სხვაობით. BAG დასაქმების ბარომეტრი არის სექტორების საბალანსო მნიშვნელობების შეწონილი საშუალო. BAG დასაქმების ბარომეტრის მნიშვნელობა შესაძლოა იყოს -100–დან +100–მდე. -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მომდევნო სამი თვის განმავლობაში მოელის დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებას, ხოლო +100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მომდევნო სამი თვის განმავლობაში მოელის დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას.

დასაქმებულთა რაოდენობის ცვლილება

BAG ინდექსის გამოკვლევა



წყარო: PMC კვლევითი ცენტრი, BAG

- 2023 წლის I კვარტალში, გამოკითხული კომპანიების 33%-მა გაზარდა დასაქმებულთა რაოდენობა, 7%-მა შეამცირა, ხოლო 60%-მა არ შეცვალა.
- გამოკითხული კომპანიების 45% გეგმავს გაზარდოს დასაქმებულთა რაოდენობა 2023 წლის II კვარტალში, 5% გეგმავს შემცირებას, ხოლო 50% არ აპირებს რაოდენობის ცვლილებას.
- 2023 წლის II კვარტალში დასაქმების მიმართულებით ყველაზე პოზიტიური მოლოდინი მშენებლობის სექტორში ფიქსირდება, სადაც 2023 წლის II კვარტალში, კომპანიათა 69% გეგმავს დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას.

* მოლოდინი

Jobs.ge-ზე
გამოქვეყნებული ვაკანსიების რაოდენობა



წყარო: Jobs.ge

- 2022 წლის ოქტომბრიდან 2023 წლის მარტის ჩათვლით, 38,836 ვაკანსია გამოქვეყნდა jobs.ge-ზე, რაც 2021-2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 20.0%-ით გაზრდილი მაჩვენებელია.
- 2022 წლის ოქტომბრიდან 2023 წლის მარტის ჩათვლით, jobs.ge-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიების რაოდენობა საშუალოდ თვიურად 0.5%-ით მცირდებოდა.
- 2023 წლის მარტში გამოქვეყნებული ვაკანსიების რაოდენობა 19.4%-ით მეტია 2023 წლის თებერვალში გამოქვეყნებული ვაკანსიების რაოდენობასთან შედარებით.

Jobs.ge-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიების რაოდენობა კატეგორიების მიხედვით



წყარო: Jobs.ge

2022 წლის ოქტომბრიდან 2023 წლის მარტის ჩათვლით, 7,047 ვაკანსია გამოქვეყნდა ფინანსების, სტატისტიკის კატეგორიაში, რაც 2021-2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 42.5%-ით, ხოლო 2020-2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 179.9%-ით გაზრდილი მაჩვენებელია.

2022 წლის ოქტომბრიდან 2023 წლის მარტის ჩათვლით, 10,658 ვაკანსია გამოქვეყნდა გაყიდვები/შესყიდვების კატეგორიაში, რაც 2021-2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 21.4%-ით, ხოლო 2020-2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 154.2%-ით გაზრდილი მაჩვენებელია.

2022 წლის ოქტომბრიდან 2023 წლის მარტის ჩათვლით, 9,008 ვაკანსია გამოქვეყნდა ადმინისტრაცია/მენეჯმენტის კატეგორიაში, რაც 2021-2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 27.8%-ით, ხოლო 2020-2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 154.0%-ით გაზრდილი მაჩვენებელია.

დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები





წყარო: MoESD

- 2022 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, საწარმოთა 8%-ს (3,884) ჰყავს 17,851 უცხო ქვეყნის მოქალაქე დასაქმებული, რაც მთლიანი დასაქმების 2%-ია. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმება 78%-ით გაიზარდა.
- 2022 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეთა 45% მსხვილი ზომის საწარმოებზე მოდის, 14% საშუალოზე, ხოლო 41% მცირე ზომის საწარმოებზე.
- 2022 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, დასაქმებულ უცხოელთა 74% თბილისშია თავმოყრილი, ხოლო 26% - დანარჩენ რეგიონებში.

ხელფასის მიმღებთა საშუალო რაოდენობა



წყარო: შემოსავლების სამსახური*

* შემოსავლების სამსახურის მიერ მოწოდებული მონაცემები არ არის საბოლოო და, შესაძლოა, ოდნავ გაიზარდოს. (ბოლო ინფორმაცია 19.04.2023).

**დეკემბერში ხელფასის წილის შემცირება 0-599 და 600-1199 ლარის კატეგორიებში, სავარაუდოდ, განპირობებული იყო ზოგიერთი დასაქმებულისთვის მე-13 ხელფასის ჩარიცხვით.

ზრდის ტემპი

- 2023 წლის მარტში, ადამიანების რაოდენობა, რომლებიც იღებდნენ თვიურ ხელფასს, 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 3.9%-ით, ხოლო 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 8.3%-ით არის გაზრდილი.
- 2023 წლის მარტში, იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც იღებდნენ 0-დან 599 ლარამდე თვიურ ხელფასს, 18.8%-ს შეადგენდა, რაც 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 5.1 პროცენტული პუნქტით, ხოლო 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 9.2 პროცენტული პუნქტით შემცირებული მაჩვენებელია.
- 2023 წლის მარტში, იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც იღებდნენ 2,400 ლარს ან მეტ თვიურ ხელფასს, 21.4%-ს შეადგენდა, რაც 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 8.6 პროცენტული პუნქტით, ხოლო 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 8.1 პროცენტული პუნქტით გაზრდილი მაჩვენებელია.
- 2023 წლის მარტში, იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც იღებდნენ 9,600 ლარს ან მეტ თვიურ ხელფასს, 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 29.9%-ით, ხოლო 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 67.5%-ით არის გაზრდილი. 2023 წლის მარტში, იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც იღებდნენ 9,600 ლარს ან მეტ ხელფასს, 3.1%-ს შეადგენდა.

დაქირავებით დასაქმებულთა ხელფასი



* წინასწარი მონაცემები

წყარო: საქსტატი, PMC RC

- საქართველოში 2015 წლიდან 2022 წლამდე დაქირავებით დასაქმებულთა ნომინალური ხელფასი 76.8%-ით გაიზარდა. თუმცა ინფლაციის გათვალისწინებით, იმავე პერიოდში ხელფასების ზრდამ მხოლოდ 17.6% შეადგინა.
- აღსანიშნავია, რომ მშპ-ს რეალური ზრდა 2015-იდან 2022 წლამდე შეადგენდა 34.7%-ს, რაც ორჯერ აღემატება ინფლაციაზე მორგებული ხელფასის ზრდას. ეს იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოში მშპ-ს რეალური ზრდა პროპორციულად არ აისახებოდა მუშახელის ხელფასებზე.

შრომის ბაზრის ინდიკატორები

	2020 II კვ.	2020 III კვ.	2020 IV კვ.	2021 I კვ.	2021 II კვ.	2021 III კვ.	2021 IV კვ.	2022 I კვ.	2022 II კვ.	2022 III კვ.	2022 IV კვ.
სამუშაო ძალა (ათასი)	1515.0	1528.9	1505.7	1447.2	1559.1	1592	1536.1	1490.7	1551.5	1609.4	1554.7
დასაქმებულები (ათასი)	1237.6	1269.1	1197.9	1129.7	1214.6	1281.2	1244.2	1201.1	1269.9	1358.6	1305.2
დაქირავებით დასაქმებული (ათასი)	839.5	845.3	805.1	782.8	831.7	861.9	841.1	817.7	867.9	913.8	884.1
თვითდასაქმებული (ათასი)	397.6	423.1	391.9	345.7	381.8	418.6	402.4	382.3	401.2	444.3	420.4
უმუშევრები (ათასი)	277.4	259.8	307.8	317.5	344.6	310.8	291.9	289.6	281.6	250.7	249.5
სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე (%)	50.3	50.3	50.0	48.3	51.4	52.8	51.2	49.9	51.5	53.5	52.7
დასაქმების დონე (%)	41.1	41.8	39.8	37.7	40.1	42.5	41.5	40.2	42.2	45,2	44.2
უმუშევრობის დონე (%)	18.3	17.0	20.4	21.9	22.1	19.5	19.0	19.4	18.1	15.6	16.1
საშუალო ნომინალური ხელფასი (ლარი)	1150.1	1 239.5	1314.7	1256.2	1328.0	1368.5	1463.8	1446.5	1541.3	1595.0	1773.7

წყარო: საქსტატი

სამართლებრივი შეტყობინება

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMC კვლევითი ცენტრი არ იღებს პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის“, ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMC კვლევითი ცენტრი არ იძლევა გარანტიას, რომ:

- პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;
- რომ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMC კვლევითი ცენტრი იტოვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMC კვლევითი ცენტრი თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევასა ან PMC კვლევითი ცენტრის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMC კვლევით ცენტრს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგელობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასა ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMC კვლევითი ცენტრი დაინტერესებულია, შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMC კვლევითი ცენტრის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMC კვლევითი ცენტრის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMC კვლევით ცენტრს.

თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არ აღსრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადობაზეც.

გიორგი ხიშტოვანი
კვლევითი დირექტორი
g.khishtovani@pmcginternational.com

ნიკა კაპანაძე
მკვლევარი
n.kapanadze@pmcginternational.com

შოთა მაჭარაშვილი
უმცროსი მკვლევარი
sh.matcharashvili@pmcginternational.com

მის.: 61 აღმაშენებლის გამზირი, მე-3 სართული, თბილისი, 0102, საქართველო.
ტელ: (+995 32) 2921171, 2921181
ელ. ფოსტა:
research@pmcginternational.com
ვებსაიტი: pmcresearch.org